

მოზარდთა დაცვის და 16 წელს მიუღწეველთა სექსუალური ძალადობის  
თანამედროვე გამოწვევები საქართველოში

მაკა ვარადაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
სკოლაში სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბესიკ ქვარცხავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

როგორც, წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაკა ვარადაშვილი

თარიღი: 30.01.21

## აბსტრაქტი

ბავშვზე ძალადობა წარმოადგენს ბავშვის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ძალადობის ისეთ ფორმაზეა საუბარი, რომელიც ყველაზე დაფარული ხასიათისაა. სექსუალური ძალადობა ბავშვზე დაფარული რჩება, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მოზარდის შინაგან მდგომარეობას.

ნაშრომში ასახულია თუ რომელი ქმედება ითვლება ბავშვზე სექსუალურ ძალადობად, რა ადგილი უკავია და როგორ რეგულირდება, როგორც ზოგადად არასრულწლოვანთან, ასევე, კონკრეტულად 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან სექსუალური ძალადობა ქართულ სისხლის სამართალში. განხილული იქნება საერთაშორისო აქტები და მისი ზეგავლენა ქართულ კანონმდებლობაზე.

ნაშრომის მიზანია მოხდეს 16 წელს მიუღწეველი პირის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის თანამედროვე გამოვლინების წარმოჩენა. ამასთან დაკავშირებით, საუბარი იქნება კომპიუტერული სისტემის მეშვეობით განხორციელებული სექსუალური ძალადობის შესახებ. ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს თუ რა არასასურველი შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე. სექსუალური დანაშაულის თავისებურებების წარმოჩენა მოხდება, რაც ხელს უწყობს თავის მხრივ დანაშაულის ლატენტურობას.

ასევე, განხილულია მნიშვნელოვანი საკითხი - დანაშაულის ლატენტურობის კავშირი ბავშვის დაცვის პრობლემასთან. დაზარალებულად ყოფნამდე ბავშვისთვის არასასურველი შედეგების თავიდან აცილება, პრევენციის ღონისძიებების მნიშვნელოვნება. გარდა ამისა, განხილული იქნება დანაშაულის შემდგომ რა გზის გავლა უწევს მოზარდს. შესაძლებელია თუ არა მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან არიდება და რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მაქსიმალური ეფექტურობით მოხდეს მოზარდის დაცვა.

წინამდებარე ნაშრომი, მნიშვნელოვანია არა მარტო სექსუალური ძალადობა გადატანილი ბავშვის დაცვისთვის, არამედ დანაშაულამდე დანაშაულის შედეგების

თავიდან აცილებისთვის. 16 წელს მიუღწეველ პირთან განხორციელებული სექსუალური ძალადობა რთულად მოქმედებს ბავშვის ფსიქოლოგიურ განვითარებაზე. პრობლემატურია დანაშაულის ჩამდენი პირის გამოვლენა, განსაკუთრებით მაშინ როდესაც ბავშვის ნორმალური ზნეობრივი განვითარებისთვის ხელის შეშლა სულ უფრო მეტად მარტივი გახდა დანაშაულის ჩამდენი პირისთვის ინტერნეტის და მობილური ტელეფონების გამოყენებით.

**ძირითადი სიტყვები:** 16 წელს მიუღწეველი პირი; სექსუალური ძალადობა; კომპიუტერული სისტემა;

## **Annotation**

Child abuse represents one of the main problems of a violation of children's rights, especially when we talk about latent form which psychologically is the most difficult to endure. Child sexual abuse remains hidden that aggravates internal state of adolescent.

My work reflects what kind of actions are represented as child sexual abuse, what place does it take and as regulated by Criminal Law of Georgia sexual abuse against a person under the age of 16 years. Also we will discuss about international acts and its impact on Georgian legislation.

The aim of the work is to present the modern manifestations of sexual abuse against a child under the age of 16 years. Regarding this, we will talk about the intellectual perverted actions through the Internet. The aim of the work is also to present what adverse effect can be brought on by this problem for the normal moral development of an adolescent. Sexual abuse characteristics will be revealed, that contributes latent nature of the crime.

Also, there are discussed important issues – connection of the latent crime with child protection's problems, to avoid undesirable result before a child became a victim, the importance of prevention measure. Beside this, we will discuss about what steps should be passed by adolescent after the crime. Is it possible to avoid secondary victimization, and what should be done to protect an adolescent maximum effectively?

The work is important not only for adolescent who became a victim of sexual abuse, but also to avoid the result of the crime before the crime. Sexual abuse against the person aged under 16 has the hardest effect on child's psychological development. It is difficult to identify person who commits the crime, especially when it became so easy to interfere child's moral development using mobile phone and internet.